

KOC University, Turkey

ქეთევან გაგოშიძე, ნუცა წერეთელი, მიხეილ გოგუაძე, ელა სხრიტლაძე, ნათია ჭინჭარაული, ანასტასია მოწონელიძე

KOC University, Turkey

From CU to KU

„კავკასიის უნივერსიტეტის ექვსმა სტუდენტმა ბარგი ჩავალაგეთ და სტამბულში წამოვედით, რთული არ იყო ოჯახისა და მეგობრების დატოვება, რადგან მოუთმენლად ველოდით იმ თავგადასავალს, რომელსაც Erasmus+ის გაცვლითი პროგრამა ჰქვია და რომელზეც მხოლოდ სხვების გამოცდილებიდან თუ გვსმენოდა რაიმე.

Erasmus+ის გაცვლითი პროგრამა ჩვენთვის რატომღაც ყოველთვის ევროპასთან ასოცირდებოდა, თუმცა მოულოდნელად აზიისა და ევროპის გასაყარზე - სტამბულში აღმოვჩნდით. ეს არის ქალაქი, რომელიც მხოლოდ ბოსფორის სრუტითა და აია სოფით არ შემოიფარგლება, მსგავსი ტურისტული ადგილები მხოლოდ ფასადია, რომლის უკანაც, თუ კი შანსი მოგეცემათ, აუცილებლად უნდა შეიხედოთ, ჩვენ კი ამისთვის საკმარისზე მეტი დრო გვაქვს, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ჩვენს გაცვლით პროგრამას.

რაც შეეხება უნივერსიტეტს. ერთი სემესტრით თურქეთის მოწინავე უნივერსიტეტის სტუდენტები აღმოვჩნდით, რაც კიდევ ერთი ახალი გამოწვევაა ჩვენს ცხოვრებაში. ვსწავლობთ ბევრს, ვსწავლობთ საინტერესო საგნებს, გვყავს კვალიფიციური ლექტორები, რომლებიც მაქსიმალურად ცდილობენ კომფორტულად გვაგრძნობინონ თავი, ჯერ კიდევ ჩვენთვის უცხო გარემოში, და ყოველთვის მზად არიან პასუხი გასცენ ჩვენს ნებისმიერ შეკითხვას.

მოგვწონს გარემო, მეგობრები, რომლებიც აქ შევიძინეთ, უნივერსიტეტის საცხოვრებელი, ბიბლიოთეკა, სადაც შეგვიძლია დღისა და ღამის ნებისმიერ დროს მივიდეთ და ვიმეცადინოთ. ვცდილობთ მაქსიმალურად დავტკბეთ თითოეული წამით და ახალი უნარებითა და გამოცდილებით დავბრუნდეთ უკან. უსიტყვოდ ვთანხმდებით, რომ აქ გატარებული ერთი სემესტრი სამუდამოდ დაილექება ჩვენს”